



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 117

2017 წლის 20 მაისი

ქ. თბილისი

„2016 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის
გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2016 წლის 7 ივლისის N140 ბრძანებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით
დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის,
შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის გიორგი ხიშტოვანის სამსახურებრივი ბარათის (N241896,
14.03.2017) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „2016 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო
კონკურს გამოცხადების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2016 წლის 7 ივლისის N140 ბრძანებაში და ბრძანების მე-13 დანართი ჩამოყალიბდეს
თანდართული დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი)
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე
განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი